



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი პროგრამა
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი(ებ)ი 2019 წლის 23-24 ოქტომბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2019 წლის 30 ოქტომბერი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი სამედიცინო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	0913
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	360
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული 7.11.2014

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მარიკა ფალკონე ვიტა-სალუტე სან რაფაელეს უნივერსიტეტი, იტალია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მარიკა თოიძე, დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ელენე ხურციძე ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	

აკრედიტაციის დასკვნის რეზიუმე

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა არის კარგად ჩამოყალიბებული, რომელსაც აქვს მკაფიო სწავლის მიზნები და მედიცინის სწავლებისადმი მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომა. აღნიშნული პროგრამა აკრედიტებულია 2014 წელს და ხორციელდება 2015-2016 სასწავლო წლიდან, ამჟამად ჩარიცხული 625 სტუდენტით. პროგრამა უზრუნველყოფს სულ 360 კრედიტს და ფლობს კონკურენტულ უპირატესობას მედიცინის სხვა საერთაშორისო ევროპულ პროგრამებთან შედარებით, ძალიან კარგი შესაძლებლობით უცხოელი სტუდენტების მოსაზიდად (100% საერთაშორისო აპლიკანტები). ბათუმის უნივერსიტეტს აქვს საჭირო ინფრასტრუქტურა დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად, მათ შორის, თანამშრომლობს რეგიონულ ჰოსპიტლებთან და კვლევით ცენტრებთან, სადაც საერთაშორისო სტუდენტები იღებენ კარგი ხარისხის ცოდნას მედიცინაში.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა

საკრედიტაციო ადგილზე ვიზიტი იყო კარგად ორგანიზებული და ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა შეეფასებინა სწავლების მაღალი ხარისხი, ინფრასტრუქტურა და პროგრამის აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების მოვალეობები. ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარესთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა სათანადო ინფორმაცია მიაწოდა ჯგუფს პროგრამის წესებისა და მიღწევების შესახებ.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის რეზიუმე

პროგრამა სრულ შესაბამისობაშია საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან. თვითშეფასების ანგარიშში და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი აკრედიტაციის ყველა სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

▪ რეკომენდაციების რეზიუმე

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამისადმი ექსპერტთა ჯგუფს არა აქვს კონკრეტული რეკომენდაციები.

▪ **რჩევების რეზიუმე**

1. პროგრამის ძირითადი კვლევითი აქტივობები შესაძლოა გაუმჯობესდეს როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად და უნდა გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა ამგვარ აქტივობებში.
2. ტრანსფერული უნარების შეძენა პროგრამაში სწორად არის გათვალისწინებული, თუმცა ზოგიერთ დამატებით კურსს - პროექტის მენეჯმენტში, მონაცემთა დაცვასა და მენეჯმენტში, ასევე მეწარმეობაში - შეუძლია გაამდიდროს ეს საერთაშორისო პროგრამა.
3. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის მოთხოვნილი ეროვნული კანონმდებლობით, რეკომენდებულია მისაღები გამოცდის ჩატარება, რომელიც მოითხოვს გარკვეულ ცოდნას ისეთ საბაზისო მეცნიერებებში, როგორიცაა ქიმია, ფიზიკა და მათემატიკა.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

არ ეხება

- აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევებისა ან/და პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

არ ეხება

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები განსაზღვრავენ იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც ისახავს მიზნად პროგრამა კურსდამთავრებულებში. ისინი აგრეთვე ახდენენ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შესატანი წვლილის ილუსტრირებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამის მიზნები ძალიან კარგად არის განსაზღვრული და შეესაბამება ევროკავშირის უმეტეს სამედიცინო პროგრამებს.
- პროგრამის მიზნები სრულ შესაბამისობაშია საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან.
- სამეცნიერო ცოდნა და კომპეტენციები, რომლებსაც სტუდენტები შეიძენენ ამ პროგრამის საშუალებით, ნათელია და გამომუშავდება მრავალფეროვან და სრულყოფილ კურსებსა და პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობით.
- პროგრამა გულისხმობს ბიომედიცინის, სოციალური და კლინიკური მეცნიერებებისა და ფარმაცოლოგიის ძირითადი საგნების, ისევე, როგორც სამედიცინო პროფესიასთან დაკავშირებული ეთიკური და ქცევითი ასპექტების ცოდნას. სწავლებისადმი მიდგომა ძალზე ინოვაციური და უაღრესად ეფექტურია, და ემყარება კონკრეტულ ორგანოებზე დაფუძნებულ მოდულებს, რომლებშიც ცოდნის შეძენა ხდება საბაზისო მეცნიერებიდან დაწყებული და კონკრეტული ორგანოს / სისტემის პრეკლინიკური და კლინიკური შესწავლით დამთავრებული.
- ამ ინგლისურენოვანი პროგრამის პოზიტიური გავლენა ბათუმის უნივერსიტეტისა და რეგიონის ინტერნაციონალიზაციაზე აშკარაა.
- პროგრამის მიზნები შემუშავდა ბაზრის კვლევების ჯგუფის (BCG RESEARCH) მიერ შემუშავებული დოკუმენტის „შრომისა და განათლების ბაზრების კვლევის“ გათვალისწინებით. ამასთან, ინტერვიუების დროს, რეგიონალური ჯანდაცვის სისტემის შესაბამისმა დაინტერესებულმა პირებმა (კერძო საავადმყოფოებმა და ჯანდაცვის სტრუქტურებმა) გამოავლინეს მკაფიო ენთუზიაზმი პროგრამისადმი და სტუდენტების მომზადების ხარისხისა და ვალდებულების მიმართ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის კოორდინატორებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია 1.1.1;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა. დანართი 1.1.2;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა. დანართი 1.1.3;
- ფაკულტეტის დებულება. დანართი 1.1.4;
- ხელშეკრულებები კლინიკებთან. დანართი 1.1.5;
- ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. დანართი 1.1.6;
- დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა. 1.1.7
- ტრენინგების ლინკები. დანართი 1.1.8;
- შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა. დანართი 1.1.9.

რეკომენდაციები:

- კონკრეტული რეკომენდაციები არ არის საჭირო.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- პროგრამის მთავარი მიზანია პროფესიონალი, მაგრამ ასევე აკადემიურად ორიენტირებული მედიკოსის მომზადება, რომელსაც შეუძლია კონკრეტული სამედიცინო პრობლემების მოგვარება და დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის ჩატარება. მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუებისა და საავადმყოფოებში ჩატარებული ვიზიტების დროს, პროგრამისა და უნივერსიტეტის კლინიკური კვლევითი საქმიანობა ძალიან დამაჯერებლად იყო წარმოდგენილი, ძირითადი კვლევითი საქმიანობა (ბიოსამედიცინო მეცნიერებები) ნაკლებადაა განვითარებული. ბათუმის უნივერსიტეტის ძირითადი კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესებამ ევროპულ სამეცნიერო კონსორციუმში მონაწილეობის გზით, შეიძლება მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს ამ საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხი.

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- არ ეხება

აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი

- პროგრამამ აჩვენა დასახული მიზნების მიღწევის, საერთაშორისო და კარგად

სტრუქტურირებული სამედიცინო პროგრამის შემუშავების უნარი.

შეფასება

ი გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ამ მედიცინის პროგრამის საშუალებით შეძენილი კომპეტენციები სრულად შეესაბამება ევროპული კვალიფიკაციის ჩარჩოს.
- სწავლება მედიცინის პროგრამაში მოიცავს სამ ფაზას: - საბაზისო, პრეკლინიკური და კლინიკური. საბაზისო მოდულები ემსახურება ბიოსამედიცინო მეცნიერებების, ადამიანის სხეულის ნორმალური სტრუქტურის, ფუნქციის, რეგულირების მექანიზმების შესწავლას; პრეკლინიკური ბლოკი აღწერს ორგანიზმის სისტემების მიხედვით ნორმასა და დაავადებას შორის სხვაობას, პათოლოგიური მექანიზმების მახასიათებლებს, მიზეზებს, მიმდინარეობას და ძირითად კლინიკურ გამოვლინებას; კლინიკური ფაზა მოიცავს დაავადებებს, მათი დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პრევენციისათვის საჭირო ინტერვენციის მეთოდებს. პირველივე ფაზიდან ხდება სტუდენტის კლინიკური აზროვნების ჩამოყალიბება და საბაზისო კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავება, მათ შორის კლინიკურ გარემოში სტუდენტის ადრეული იმპლემენტაციის გზით.
- მედიცინის პროგრამის ძირითადი იდეა არის მედიცინაში მტკიცებულებებზე დაფუძნებული კონცეფციის გამოყენება ცოდნის, ძირითადი და კლინიკური კვლევების განხორციელებისადმი მიდგომის (კლინიკურ კვლევებში მონაწილეობა, ლიტერატურის გადასინჯვა და ა.შ.) მეშვეობით.

○ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია სათანადოა და შესაბამისობაშია საერთაშორისო სამედიცინო სტანდარტებთან. ○ სასწავლო გეგმა შემუშავდა აკადემიური პერსონალის (მათ შორის მოწვეული ლექტორების), სტუდენტების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მოსაზრებების და უკუკავშირის გათვალისწინებით (ბაზრის მოთხოვნები).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის კოორდინატორებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ○ სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება. დანართი 1.2.1; ○ დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა. 1.2.2; ○ შრომისა და განათლებისა ბაზრის კვლევა. 1.2.3; ○ ბაზრის კვლევის ანალიზი და დამსაქმებელთა შეხვედრის ოქმი. 1.2.4; ○ სტუდენტთა სწავლის შედეგების ანალიზი. 1.2.5; ○ სტუდენტების გამოკითხვა. 1.2.6; ○ პერსონალის გამოკითხვის შედეგები. 1.2.7; ○ პროგრამის სწავლის შედეგების რუკა.1.2.8; ○ სამუშაო ჯგუფის ოქმი. დანართი 1.2.9.
რეკომენდაციები: ○ კონკრეტული რეკომენდაციები არ არის საჭირო.
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: ○ არ არის
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ○ არ ეხება
აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი ○ პროგრამამ აჩვენა დასახული სწავლის შედეგების მიღწევის უნარი.
შეფასება ○ გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს მიზნებისა და დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის 111 დადგენილებით - „ბსუ-სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად
-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;

○ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის კოორდინატორებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: ○ კონკრეტული რეკომენდაციები არ არის საჭირო.
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: ○ მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის მოთხოვნილი ეროვნული კანონმდებლობით, რეკომენდებულია მისაღები გამოცდის ჩატარება, რომელიც მოითხოვს გარკვეულ ცოდნას საბაზისო მეცნიერებებში, როგორიცაა ქიმია, ფიზიკა და მათემატიკა. რეალურად, მხოლოდ ინგლისური ენის ცოდნის საფუძველზე შერჩევა ქმნის უპირატესობას იმ სტუდენტებისთვის, რომლებისთვისაც ინგლისური არის როგორც დედა ენა (მაგ. ინდოელი სტუდენტები), სხვა ეროვნების, მათ შორის ქართველი, ისევე, როგორც აფრიკელი და ჩინელი სტუდენტების ხარჯზე.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ○ არ ეხება
აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი ○ არ ეხება
შეფასება ○ გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა

უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების გათვალისწინებით;
- ერთსაფეხურიანი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა ემყარება ECTS სისტემას; პროგრამის ხანგრძლივობა 6 წელია, მოცულობა - 360 კრედიტი, მოიცავს 12 სემესტრს. ერთი კრედიტი შეესაბამება 25 საათს;
- პროგრამის სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს შორის კრედიტების განაწილება შესაბამისია და შედგება პროგრამის სავალდებულო კომპონენტის 330 კრედიტით და არჩევითი კომპონენტის 30 კრედიტით.
- დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა სტრუქტურირებულია სამ ფაზად:
 - I საბაზისო ფაზა
 - II პრეკლინიკური ფაზა
 - III კლინიკური ფაზა
- მედიკოსი სტუდენტების მიერ შეძენილი კომპეტენციები მოიცავს ბიოსამედიცინო მეცნიერებებისა და კლინიკურ ცოდნას, აგრეთვე შესაბამის ტრანსფერულ უნარებს ლიდერობაში, სოციალურ მეცნიერებებში, პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობებში, ასევე ზეპირ და წერილობით კომუნიკაციის, პრეზენტაციის უნარებსა და ეთიკურ საკითხებს.
- მედიცინის კურსკულუმი ითვალისწინებს არა მხოლოდ კურსებში მონაწილეობას, არამედ დამოუკიდებელ მუშაობასაც და მოიცავს ლექციებს, სამუშაო ჯგუფების აქტივობას, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებს, შუალედური და დასკვნით გამოცდების მომზადებასა და ჩაბარებას.
- პრაქტიკული უნარები მნიშვნელოვან სამედიცინო პროცედურებში, როგორიცაა ნაკერების დადება, კათეტერიზაცია, ინტუბაცია, ინტრავენური ინექციები და სხვ., ისწავლება სწორად, უმეტესწილად, მანეკენების და სიმულაციების გამოყენებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის კოორდინატორებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ 2019 წლის 10 აპრილი, ეროვნული კვალიფი-კაციების

ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ, იხ. ბმული - https://eqe.ge/res/docs/matsne-4480034-0.pdf. დანართი 2.2.1; ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ დანართი 2.2.2; ○ დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა. დანართი 2.2.3; ○ მედიცინის დარგობრივო მახასიათებლები დანართი 2.2.4; ○ სამუშო ჯგუფი. დანართი 2.2.5; ○ სამუშაო ჯგუფის გეგმა. დანართი 2.2.6; ○ კურიკულუმის ჯგუფი დანართი 2.2.7.
რეკომენდაციები: ○ კონკრეტული რეკომენდაციები არ არის საჭირო.
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: ○ კვლევითი უნარების შეძენასთან დაკავშირებული გეგმის განხორციელება არ არის სრულად დამაჯერებელი. რეალურად, კვლევის ინფრასტრუქტურა არც თუ ისე კარგად არის განვითარებული, ხოლო მედიკოსი სტუდენტების აქტიური მონაწილეობა ძირითად კვლევით აქტივობებში (მიკროსკოპია, უჯრედების კულტურები, დაავადებების ცხოველთა მოდელები) დამაჯერებლად არ გამოიყურებოდა ლაბორატორიებში ვიზიტების დროს და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების მიმდინარეობისას.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ○ არ ეხება
აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი ○ დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა განახლდა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების, მათ შორის სტუდენტების, დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, აგრეთვე კონსულტანტების და პროფესიონალური ასოციაციების რეკომენდაციების შესაბამისად. პროგრამის კომიტეტმა ასევე აქტიურად მიიღო მონაწილეობა პროგრამის განახლებაში მედიცინაში არსებული მიზნობრივი ნიშნულების გათვალისწინებით, ასევე დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგების, მათი კომენტარებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით.
შეფასება

ო გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 სასწავლო კურსი

- თითოეული ძირითადი კურსის სტუდენტის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან; ამის გარდა, თითოეული კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- თითოეული კურსი სათანადოდ არის შემუშავებული და სტრუქტურირებული, რათა მიაღწიოს დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ სწავლების შედეგებს.
- მედიცინის პროგრამის ძირითადი იდეა არის მედიცინაში მტკიცებულებებზე დაფუძნებული კონცეფციის გამოყენება ცოდნის, ძირითადი და კლინიკური კვლევების მიდგომების განხორციელების (კლინიკურ კვლევებში მონაწილეობა, ლიტერატურის გადასინჯვა და ა.შ.) მეშვეობით.
- სწავლება მედიცინის პროგრამაში მოიცავს სამ ფაზას: საბაზისო, პრეკლინიკური და კლინიკური. საბაზისო მოდულები ემსახურება ბიოსამედიცინო მეცნიერებების, ადამიანის სხეულის ნორმალური სტრუქტურის, ფუნქციის, რეგულირების მექანიზმების შესწავლას; პრეკლინიკური ბლოკი აღწერს ორგანიზმის სისტემების მიხედვით ნორმასა და დაავადებას შორის სხვაობას, პათოლოგიური მექანიზმების მახასიათებლებს, მიზეზებს, მიმდინარეობას და ძირითად კლინიკურ გამოვლინებას; კლინიკური ფაზა მოიცავს დაავადებებს, მათი დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პრევენციისათვის საჭირო ინტერვენციის მეთოდებს. პირველივე ფაზიდან ხდება სტუდენტის კლინიკური აზროვნების ჩამოყალიბება და საბაზისო კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავება, მათ შორის კლინიკურ გარემოში სტუდენტის ადრეული იმპლემენტაციის გზით.
- თითოეული კურსისათვის გამოყოფილია სათანადო რაოდენობის სამუშაო საათები, ხოლო განსხვავებული სწავლება-სწავლის მეთოდები კარგად განსაზღვრული და რელევანტურია.
- კრედიტების განაწილება თითოეული კურსისათვის თემის რელევანტურია.
- მედიკოსი სტუდენტების მიერ შეძენილი კომპეტენციები მოიცავს ბიოსამედიცინო

მეცნიერებებისა და კლინიკის ცოდნას, აგრეთვე შესაბამისი ტრანსფერულ უნარებს ლიდერობაში, სოციალურ მეცნიერებებში, პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობებში, ისევე, როგორც ზეპირ და წერილობით კომუნიკაციაში, პრეზენტაციის უნარებსა და ეთიკურ საკითხებში.

- სილაბუსები მხარდაჭერილია განახლებული სახელმძღვანელოებით, რომლებიც თავისუფლადაა ხელმისაწვდომი სტუდენტებისათვის (თანამედროვე ბიბლიოთეკა კარგადაა აღჭურვილი ელექტრონული წიგნებით). სილაბუსების შინაარსს საფუძვლად უდევს სფეროს თანამედროვე მიღწევები (თანამედროვე სახელმძღვანელოები და უახლესი ინგლისური ლიტერატურა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 თებერვლის დადგენილება N26 სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. დანართი 2.3.1;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ 2019 წლის 10 აპრილი, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ, იხ. ბმულზე - <https://eqe.ge/res/docs/matsne-4480034-0.pdf> . დანართი 2.3.2;
- მედიცინის დარგობრივი მახასიათებელი. დანართი 2.3.3;
- საგანმანათლებლო პროგრამა დანართი 2.3.4;
- სასწავლო კურსების სილაბუსები. დანართი 2.3.5;
- შესაძენი ლიტერატურის ნუსხა. დანართი 2.3.6;
- ბსუ-ს ელექტრონული ბიბლიოთეკა იხ. ბმული - <http://10.10.48.48/> დანართი 2.3.7.

რეკომენდაციები:

- კონკრეტული რეკომენდაციები არ არის საჭირო.

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- კურსების ჩამონათვალი ყოვლისმომცველია და მოიცავს ყველა შესაბამის კურსს, მათ შორის არჩევით კურსებს შესაბამისი ტრანსფერული უნარების შესასწავლად, როგორცაა კომუნიკაცია. ზოგიერთ დამატებით კურსს პროექტის მენეჯმენტში, მონაცემთა დაცვასა და მენეჯმენტში და მეწარმეობაში შეუძლია გაამდიდროს ეს საერთაშორისო პროგრამა.

აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი

○ არ ეხება
შეფასება ○ გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ სასწავლო გეგმა სწორად არის სტრუქტურირებული იმისათვის, რომ შეასწავლოს სტუდენტებს მედიცინაში საჭირო ყველა უნარი, ისევე, როგორც შესაბამისი ტრანსფერული უნარები. ○ სამეცნიერო ცოდნა და კვლევის სწავლება, ასევე, დაგეგმილია კონკრეტული კურსების მეშვეობითა და სტუდენტების მონაწილეობით კონფერენციებში (სპეციალურად სტუდენტებისთვის ორგანიზებულში). ○ კლინიკებში პრაქტიკული უნარების სწავლება ძალიან კარგადაა შემუშავებული ჰოსპიტლებში, მათ შორის გადაუდებელი დახმარების განყოფილებებში, საწოლთან ვიზიტისა და კლინიკური შემთხვევების განხილვის მეშვეობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის კოორდინატორებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ○ დანართი - ანგარიში სტუდენტური კონფერენციების შესახებ ○ თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმები 11 სამედიცინო კლინიკასთან ○ ვიზიტები ჰოსპიტლებში ○ ანგარიში სტუდენტური კონფერენციების შესახებ
რეკომენდაციები:

○ კონკრეტული რეკომენდაციები არ არის საჭირო.
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: ○ კვლევითი აქტივობები მეტწილად ხორციელდება მეცნიერული მსჯელობის კურსის მეშვეობით, რაც იძლევა კვლევის მეთოდოლოგიების, მონაცემთა ანალიზისა და სამეცნიერო კომუნიკაციის შესახებ ცოდნას. სტუდენტები, ასევე, ახორციელებენ ლიტერატურის მიმოხილვას ბიომედიცინის აქტუალურ თემებზე და ერთვებიან კლინიკურ კვლევებში/ცდებში. თუმცა, განუვითარებელია სტუდენტების აქტიური ჩართვა პრაქტიკულ კვლევით საქმიანობაში, განსაკუთრებით იმაში, რაც ეხება საბაზისო სამეცნიერო პროექტებს (უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმიანობის გაუმჯობესება იგეგმება სამომავლოდ 2019-2025წწ). ○ წახალისებული უნდა იქნას სტუდენტთა მონაწილეობა სამედიცინო კვლევის სხვადასხვა სფეროების საერთაშორისო კონფერენციებში (არა მხოლოდ სტუდენტურ კონფერენციებში).
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ○ არ ეხება
აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი ○ არ ეხება
შეფასება ○ გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სწავლებისა და სწავლის მეთოდები არ შემოიფარგლება კურსებში მხოლოდ სტანდარტული პირდაპირი სწავლებით, არამედ მოიცავს ინტერაქტიულ ლექციებს, სემინარებს, ლაბორატორიულ სამუშაოს, კლინიკურ შემთხვევებზე მსჯელობას, სიმულაციურ გაკვეთილებს მანეკენებით და იმიტატორებით.
- პროგრამის ფარგლებში, ასევე ხორციელდება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა და კლინიკური შემთხვევის ანალიზი (CBL) .
- თითოეული კურსი ამლევს სტუდენტებს ლექტორთან კონსულტაციის შესაძლებლობას. საკონსულტაციო შეხვედრების ცხრილი საჯაროდ ხელმისაწვდომია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მედიცინის დარგობრივი მახასიათებელი, დანართი 2.5.1;
- საგანმანათლებლო პროგრამა, დანართი 2.5.2;
- სწავლება-სწავლის მეთოდები, დანართი 2.5.3;
- სასწავლო კურსების სილაბუსები; დანართი 2.5.4;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ . დანართი 2.5.5;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის კოორდინატორებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- კონკრეტული რეკომენდაციები არ არის საჭირო.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- პროგრამის ინოვაციისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად შესაძლოა ელექტრონული სწავლების კურსების დანერგვა ბიომედიცინის მოწინავე თემებზე და ასევე, ინოვაციური თერაპიული მიდგომების თაობაზე ცოდნის შესაძენად.

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- არ ეხება

აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი

- არ ეხება

შეფასება

o გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- o სტუდენტთა მიღწევების შეფასების საზომები კარგად არის განსაზღვრული და შესაბამისია. ეს ზომები მოიცავს ესეებს, კითხვარებს, კლინიკური ქეისის განხილვას, ზეპირ პრეზენტაციებს, ლაბორატორიულ სამუშაოს, დისკუსიებს, პრაქტიკულ სიმულაციურ დავალებებს, კლინიკური კომპეტენციის შეფასებას.
- o სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გამოთვლის პროცედურას“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით.
- o სტუდენტთა შეფასებისა და გასაჩივრების პროცედურები შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებს.
- o კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების ფორმებისა და კომპონენტების შესახებ დეტალური ინფორმაცია აღწერილია კურსების სილაბუსებში.
- o სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გაასაჩივროს მიღებული შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 მაისის №06-01/50 დადგენილება „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“; დანართი 2.6.1;
- o საგანმანათლებლო პროგრამა, დანართი 2.6.2;

○ სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი, დანართი 2.6.3; ○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები, დანართი 2.6.4; ○ ტრენინგები სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ, დანართი 2.6.5; ○ გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია, დანართი 2.6.6; ○ პროგრამის სილაბუსები, დანართი 2.6.7; ○ ბსუ-ს აკადემიურის საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის №06-01/71 დადგენილება „ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესის“ შესახებ; დანართი 2.6.8; ○ 360°-ანი შეფასების შესახებ თანხმობის წერილები კლინიკებიდან. დანართი 2.6.9. ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის კოორდინატორებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: ○ კონკრეტული რეკომენდაციები არ არის საჭირო.
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: ○ არ არის
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ○ არ ეხება
აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი ○ არ ეხება
შეფასება ☐ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია	მეტწილად	ნაწილობრივ	არ არის
-----------	-----------------	----------	------------	---------

	მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

უსდ ქმნის სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას ამ სერვისების თაობაზე, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და მხარდაჭერას კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- უნივერსიტეტი სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს საკონსულტაციო მომსახურებას, რომელიც მოიცავს სხვადასხვა საკითხს, როგორცაა აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობა, კარიერული ზრდა, სწავლის გაგრძელება და სხვა. სტუდენტებს შეუძლიათ მხარდაჭერის მიღება თავიანთი კოორდინატორებისგან ან დეკანატის სხვა წევრებისგან, ან უშუალოდ დეკანისგან. ვიზიტის ფარგლებში, სტუდენტებმა ხაზგასმით აღნიშნეს კმაყოფილების მაღალი დონე დეკანის ოფისთან მათი კომუნიკაციისა და პერსონალისგან დახმარების მიღების მხრივ. სტუდენტები ფლობენ დეტალურ ინფორმაციას მხარდაჭერის სერვისების შესახებ. მატერიალური და ტექნიკური რესურსები, ბიბლიოთეკა. სტუდენტები ასევე ფლობენ დეტალურ ინფორმაციას ადგილობრივ და საერთაშორისო ეთიკურ ნორმებზე, სავიზო მომსახურებაზე. ეფექტური და სწრაფი კომუნიკაციისთვის არსებობს ელექტრონული პლატფორმა. ფაკულტეტი სტუდენტებს ამცნობს სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებების შესახებ, კომუნიკაციის სხვადასხვა არხების მეშვეობით, და მხარს უჭერს სტუდენტებს ამ ღონისძიებებსა და პროექტებში მონაწილეობის მისაღებად.
- ადგილზე ვიზიტის დროს, სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას კლასგარეშე საქმიანობაში და მხარს უჭერს მათ ინიციატივებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის კოორდინატორებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
- ანგარიშები საერთაშორისო ურთიერთობებზე და აქტივობებზე;
- სასწავლო პროცესის რეგულირების წესი;
- სტუდენტთა შიდა რეგულაციები;
- უნივერსიტეტის საერთაშორისო პოლიტიკა;
- ბაზრის შეფასება.

რეკომენდაციები:

- კონკრეტული რეკომენდაციები არ არის საჭირო.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საერთაშორისო სამედიცინო პროგრამის სტუდენტების ინტეგრაცია ადგილობრივ სამედიცინო პროგრამის სტუდენტებთან და საერთაშორისო პროგრამის ხელშეწყობა ადგილობრივი სტუდენტებისთვის/სკოლის კურსდამთავრებულებისთვის.

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):

- არ ეხება

აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი

- არ ეხება

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

